

ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

_ 31.01.2012_ №_11_

თბილისი

სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვისა
და უნივერსიტეტის ფარგლებში
საგანმანათლებლო პროგრამის
შეცვლის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებისა და ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი განათლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აღდგენის წესით ჩარიცხვისა და უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1, დანართი 2) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლის 1 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე, გამოსასვლელი დღეების გარდა, 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);
2. სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვისა და უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ -ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ

- ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 3, დანართი 4) არა უგვიანეს 16 თებერვლისა;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 5-ით;
 6. ძალაში დარჩეს სტუ - ს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის N 90 ბრძანება;
 7. 2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღდგენის წესით ჩარიცხვისა და უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ბრძანებების პროექტის მომზადება და აღდგენის წესით ჩარიცხვის ბრძანების წარდგენა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2012 წლის 18 თებერვლისა;
 8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
 9. ბრძანება განთავსდეს ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
 10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი

ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ. მაისურაძე